საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

Legal Entity of Public Law
GEORGIAN NATIONAL TOURISM
ADMINISTRATION

KA020369200575021

თბილისი, 0105, სანაპიროს 4 ტელ: 2-43-69-99, ფაქსი: 2-43-69-99
4 Sanapiro st. 0105, Tbilisi ,Georgia. Tel: (+ 995 32) 2-43-69-99, Fax: (+995 32) 2-43-69-99
E-mail: info@gnta.ge, www.georgia.travel

N18/620 **09 / დეკემბერი / 2021 წ.**

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ ნინო
თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან 2021 წლის 13 ოქტომბერს შემოსულ N10696/01 კორესპონდენციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშსა და „გუდაურის მაღლობების“ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის თაობაზე შენიშნებისა და მოსაზრებების მოწოდების საკითხს, გაცნობებთ, რომ გავეცანით ზემოხსენებული დოკუმენტის 7.10 თავს, რომელიც მოიცავს ტურიზმის კომპონენტს. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია არსებული სიტუაციის ანალიზი და არ მოიცავს ტერიტორიის განვითარების ხედვას, კონკრეტულად რა მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარება იგეგმება, რა ზომის ნაკედებზე იქნება გათვლილი და აშ. გუდაური დღეს-დღეობით, ძირითადად, წარმოადგენს სამთო-სათხილამურო მიმართულებას და სხვა სეზონებზე დატვირთულობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისთვის რომ გუდაური გადაიქცეს ოთხი სეზონის მიმართულებად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უკვე არსებული ტურისტული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის გარკვეული ალტერნატიული სახეობების განვითარება.

პატივისცემით,

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად მედეა ჯანიაშვილი